



მედიის სკოლის დამაინს მიმართვა

მედია - მომავლის
ბასალეზი



როცა გინდა, კარგად წერო, ბევრი უნდა იკითხო. ბევრი კითხვა ცხოვრებასაც საინტერესოს ხდის და თქვენც საინტერესოს გხდით გარემოსთვის. როცა ბევრი გაქვე წაკითხული და უკვე კარგადაც წერო, თქვენს ნაწერებს სხვები კითხულობენ. ნახეთ, რამხელა ამბავია? ის, რასაც თქვენი ხელიდან უშვებთ, საზოგადოებაში გადის, თქვენგან აღარ კონტროლდება.

...და როცა პირველ გამოხმაურებას იღებთ, როცა ხვდებით, რომ უკვე შეგინძნეს, მაშინ იწყება ის, რაც არ გეგონათ, თუ ასე დაგიპყრობდათ და ცხოვრების წესად გექცეოდათ. თქვენ ჟურნალისტი ხდებით.

თუკი, კიდევ წერო და ურთიერთობის იმ ფორმებსაც ფლობო, რაც ბევრი წაკითხულის შედეგად ნაფიქრს და შემდეგ დაწერილს, ყურითაც მოსასმენს ხდის და თვალთაც კარგად სანახავს, თქვენ ხელთ უკვე კომუნიკაციის სოლიდურ ბერკეტს ფლობთ. ამ ბერკეტით თქვენ დამკვეთებისთვის - საზოგადოებისთვის ბევრი რამის შეცვლა შეგიძლიათ. თქვენზეა დამოკიდებული ადამიანების კეთილდღეობაც. როგორ? მათთვის ამბის სწორად მიტანით, მათი ინფორმირების გზით.

...და როცა თქვენ უკვე ქუჩაში გცნობენ და როცა მხოლოდ ნაწილობრივ თავისუფალ საზოგადოებაშიც ცხოვრობთ, სწორია ცდუნება: პირადი კეთილდღეობა თუ საზოგადოებრივი ინტერესი. აქ არჩევანის გაკეთებისას მთავარია, არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენ დამკვეთად კვლავაც მხოლოდ მკითხველი, მსმენელი, მაყურებელი - მათი შეკითხვების დასმა და ამ კითხვებზე პასუხების ძიება რჩება. უნდა იცოდეთ, რომ თუკი ამას უარს ამბობთ, უარს ამბობთ პროფესიასაც.

მოკლედ, ეს ჟურნალისტიკაა. კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმა, რომლისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებსაც, კავკასიის მედიის სკოლაში, ძალიან კარგ ზოგად განათლებასთან ერთად დაუფლებით. ისწავლით, როგორ იყოთ უნივერსალური მედია პროფესიონალი, როგორ მართოთ მედია საშუალებები, როგორ აწარმოოთ ურთიერთობა საზოგადოებასთან - ყოველდღიურად და კრიზისულ სიტუაციებშიც. ისწავლით მათგან, ვინც ეს ყველაფერი მწყობრად და დასავლური სტანდარტით უკვე ისწავლა და ვინც თეორიული ცოდნის პარალელურად, საქმეს პრაქტიკულად ყოველდღიურად აკეთებს; ვისაც უკვე დამსახურებულად აქვს ნდობა; ვინც თქვენ პირველივე წუთიდან შემოგხვდებათ, როგორც თანასწორს, მეგობარს, ზრდასრულს.

რას ისწავლით კავკასიის მედიის სკოლაში განსხვავებულს და განსაკუთრებულს? ვეცდებით, ერთ აბზაცში ჩავატიოთ ის, რაც ყველაზე მეტად მეჩქარებოდა, მეთქვა: ისწავლით და გაიზრდებით, რომ არაფერში გარგიათ კარგი უნარ-ჩვევები, თუკი არ აღებთ პასუხისმგებლობას იმაზე, რასაც შექმნით - ინფორმაციას, რასაც თქვენგან საზოგადოებისკენ გაუშვებთ, ან პირიქით, არ გაუშვებთ; გეცოდინებათ, რომ ყველაზე ძვირფასი თქვენთვის აუდიტორიის ნდობაა; რომ ნდობის მოპოვებას წლები სჭირდება, და კარგვას - წუთი.

ჩვენთან ბევრს იფიქრებთ იმაზეც, ვინ რისთვის შეიძლება გამოგვიყენოს, როგორც მთავარი კომუნიკატორები; გაიგებთ და საკუთარი ცხოვრების წესად იქცევთ თეზას, რომ ჟურნალისტიკა არასდროს განიხილავს კომპრომისს საზოგადოებრივი ინტერესის და ხარალების, ან საკუთარი კეთილდღეობის ფასად; რომ თუკი თქვენ ამას მაინც ვააკეთებთ ან ვაგაკეთებთ, შეიძლება სამართლებრივად არავინ დაგსაჯოთ, მაგრამ თქვენ მაინც აგებთ პასუხს, ოღონდ - საკუთარი სინდისის წინაშე.

მოდით, კარგად დაფიქრდით და შემოგვიერთდით კავკასიის მედიის სკოლაში - იმისთვის, რომ ჩვენ უფრო ბევრი ვიყოთ; რომ შევძლოთ პროფესიის გაძლიერებით, ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა და მოქალაქეთა უფლებების, მათი კეთილდღეობის ქვეყნული მთავარ საზრუნავად.

გელით! მედია და კომუნიკაციები ხომ მომავლის პროფესიაა - მომავლის გასაღები.

ნინო ჟიჟილაშვილი
ჟურნალისტი

კავკასიის მედიის სკოლის ბაზეთის გამოცემის კლასი
მისამდე კურსის ფინალური პროექტი



«რეისი №2235»

ნანუა ძაჯაია

რეისზე №2235, აფრენის აღილი - საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, გადაცემა „პილოტი“. ეკიპაჟის წევრები: მარიამ ყანჩაველი, ნინო იმნაიშვილი, ელენე ვასალაია, ნინო კვიციანი, - კავკასიის მედიის სკოლის სტუდენტები ახალ მეგობარ ნიკა ხურცილავასთან ერთად საინტერესო და შემეცნებით რეისს გვპირდებიან.



გურამ წიბახაშვილის ფოტო

პროექტ „პილოტის“ პროდიუსერი, ქალბატონი თამარ პაპალაშვილი ამბობს, რომ კავკასიის მედია სკოლიდან კონკურსში ექვსი სტუდენტი მონაწილეობდა, მათგან ოთხი - უკვე ფინალისტი.

«ქალბატონო თამარ, ვისი იდეა იყო ტელეპროექტ „პილოტის“ მომზადება?»

- იდეა გაჩნდა დაახლოებით ნი თვის წინათ, არხის ხელმძღვანელობის ერთ-ერთი თათბირზე. მის განხორციელებაში კი, ხელმძღვანელობიდან დაწყებული, მთელი შემოქმედებითი ჯგუფი იყო ჩართული. ეს პროექტი გაკეთდა მათთვის, ვისაც სურს, ტელევიზიაში გააგრძელოს მუშაობა. გვსურს, მომავალ ჟურნალისტებს მივცეთ შანსი, შეიძინონ და გაიუმჯობესონ პროფესიული უნარ-ჩვევები.

«როგორ მიმდინარეობდა კონკურსანტების შერჩევა და რა ეტაპებს მოიცავდა კონკურსი?»

- კონკურსი სულ სამ ეტაპად ჩატარდა. პირველ ეტაპზე მივიღეთ აპლიკაციები, რომელთაგანაც შევარჩიეთ 150-მდე აპლიკანტი. ამას მოჰყვა მეორე ეტაპი გასაუბრების სახით. შევაფასეთ, როგორ შეეძლოთ მათი კამერასთან მუშაობა, მესამე ეტაპზე ოცდაათი მონაწილე გადავიდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კონკურსანტები ძალიან კარგად იყვნენ მომზადებულნი.

«ყველა მსურველს ჰქონდა თუ არა საშუალება, მიეღო კონკურსში მონაწილეობა?»

- პროექტში ყველა უნივერსიტეტის თითქმის ყველა ფაკულტეტის სტუდენტი იყო ჩართული. შეზღუდვა მხოლოდ ასაკთან დაკავშირებით გვექონდა, კონკურსის პირობის თანახმად, მონაწილე უნდა ყოფილიყო 17-დან 25 წლამდე.

«როდის დაიწყება გადაცემა და რამდენ ხანს გაგრძელდება?»

- აპრილის მეორე ნახევარში გავალთ ეთერში. პროექტი, სავარაუდოდ, სამ თვეს გაგრძელდება. როგორ აირჩევა გამარჯვებული გუნდი? დარჩებიან ისინი საზოგადოებრივ მაუწყებელში?»

- კონკურსანტების ბედს მოკლეთქსტური შეტყობინებები და ჟიური გადაწყვეტს. ჩვენ მაქსიმალურად შევამცირეთ „სმს“-ების წილი და გადაწყვეტილების მიღებაში ჟიურის უფრო დიდი უფლებები დავუტოვეთ. გამომდინარე იქიდან, რომ ეს პროექტი სატელევიზიოა, რეალურად მაყურებელმა უნდა გადაწყვიტოს, ვისი და რისი ნახვა სურს ეთერში, ამიტომ ჩვენ ამის იგნორირებას არ შეგვეძლო. გამარჯვებული გუნდი საზოგადოებრივ მაუწყებელში დარჩება და მათ საშუალება ექნებათ, გადაცემა მოამზადონ.

«რას გვეტყვით „რეისი №2235“ გუნდის წევრებზე?»

- კავკასიის უნივერსიტეტიდან აპლიკაცია იყო წარდგენილი. აქედან 4 კონკურსანტი დღეს პილოტის მონაწილეა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ კარგი ბავშვები არიან. მედიის ერთ-ერთი სკოლელი მარიამ ყანჩაველი ნილიდერს შორის მოხვდა. კავკასიის მედიის სკოლის დეკანს, ნინო ჟიჟილაშვილს პროექტი „პილოტი“ მოსწონს იმიტომ, რომ მედიის სკოლელები მასში გუნდურად იღებენ მონაწილეობას.

დასასრული მე-4 გვერდი

2 ისწავლე
ბანკის
დახმარებით
სწავლა თუ
მუშაობა?!




3 «მისაკნელი»
კავკასიის
მედიის
სკოლიდან

4 გაიცანით -
შუბის ბავშვები

5 ბუმბულის
სელოვნება
ეპისკოპოსის
ძალბატონი

6 როგორ
დავაპარსხოთ
უმუშევრობა
რეალური შანსი
თუ აფიორა?!



7 როგორ
შევაგსიროთ
ნარკოტიკებით
გამოწვეული
ზიანი

8 კლდის ვეფხვი
- მიხეილ
სერბიანი
გზა
საზღვრების
გარეშე



გურამ წიბახაშვილის ფოტო



«რეისი №2235»

დასასრული

„პილოტი“ საშუალებას აძლევს სტუდენტებს, გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები და გამოასწორონ ხარვეზები. მედიის სკოლის დეკანი სტუდენტების გამარჯვებულს დარწმუნებულია. „ვფიქრობ, გუნდში ძალიან კარგი სტუდენტები არიან. იმედია, კარგად დაეუფლებიან გუნდურ მუშაობას, რაც აუცილებლად გამოადგებათ მომავალში“, - აცხადებს ნინო ჟიჟილაშვილი.

ნინო - ნიჭიერია, ელენე - ენერგიული, მარიამი - მიზანდასახული, ნიკა - ნოვატორი, ნინო - ნაკითხი. გოგონები მედიის სკოლის სტუდენტები არიან, ხოლო ნიკა ტექნიკური უნივერსიტეტიდანაა.

ჩვენ თავად „პილოტელებსაც“ ვკითხეთ პროექტის შესახებ.

- როგორ შეიტყვეთ ამ პროექტის შესახებ და რატომ გადაწყვიტეთ მასში მონაწილეობა?

მარიამი: „უნივერსიტეტში გამოკრულ განცხადებებს და აბრებს არასოდეს ვაკვირდები, შესაბამისად, ამ კონკურსის შესახებ უნივერსიტეტში ჩემი დეკანისგან გავიგე. მისი სურვილი იყო, რომ ამ პროექტში მიმეღო მონაწილეობა“.

ნინო: „მომეწონა, რომ პროექტის ფარგლებში მოგვიწევდა გადაცემების შექმნა, რაც ყოველთვის მაინტერესებდა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე მონაწილეობის მიღება. თუმცა ყველაფრის მიუხედავად აპლიკაცია მაინც ბოლო დღეს გავგზავნე და კიდევ კარგი, რომ გავგზავნე“.

- რთული იყო თუ არა შესარჩევი ტური?

ელენე: „შესარჩევი ტური არც ისე ადვილი იყო, თუმცა კამერასთან ურთიერთობა არ გამაჭირდა. თავისუფალი ხარო, რომ მიიხრეს, მეწყინა“.

ნინო: „ყველაზე მეტად გამიხარდა, როცა ჩემი გვარი მეორე ტურში გადასულების



გურამ წიბახაშვილის ფოტო

სიაში წავიკითხე. გასაუბრებას რაც შეეხება, ვნერვიულობდი, მაშინ ჯერ კიდევ უცნობმა „ბატონმა ხმამ“ რომ მიიხრა, კარგი, მაღლობა, შენი გვარი შემასხენო, სკამიდან ადგომა, ელენე არ იყო, მეც აღარ მინდოდა“.

- როგორ ვარემოში გიწვევთ მუშაობა, დიდი კონკურენცია?

ნინო: „წავიფიქრე ვართ და წესების მიხედვით - ერთმანეთის კონკურენტები, თუმცა კონკურენტული გარემო საერთოდ არ იგრძნობა, იმდენად მეგობრული ატმოსფეროა. ჩვენ ყველა ჩვენ საქმეს ვაკეთებთ და ეს არ გვიშლის ხელს, რომ ერთმანეთის მეგობრები ვიყოთ“.

- მარიამ, ჟიურის წევრებმა შენ ერთ-ერთ ლიდერად დავასახელეს, რო-

დის გაივქ ამის შესახებ?

მარიამი: „სიმართლე გითხრათ, 30 კაცში გასვლას ველოდი, მაგრამ ლიდერად არჩევას - ნამდვილად არა. ერთადერთი იმის გააზრება მოვასწარი, რომ რაღაც დიდი პასუხისმგებლობა დამეკისრა. ამ პასუხისმგებლობას ყოველდღიურად უფრო ვგრძნობ“.

მართალია, გუნდის ყველა წევრი ერთად ვიღებთ გადაწყვეტილებებს, მაგრამ ვიცი, რომ თუ რაიმე არ გამოვა, პასუხისმგებელი, პირველ რიგში, მე ვიქნები. ამიტომ ლიდერის სტატუსი ჩემთვის საამაყოსთან ერთად საკმაოდ რთულიცაა“.

- როგორ მოხვდით ერთ გუნდში და ვინ არის თქვენი ჯგუფის მე-5-ე წევრი?

მარიამი: „ჯგუფის შერჩევის პროცესი ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდი იყო. ჩემი უნივერსიტეტიდან ჩემთან ერთად კიდევ 3 გოგო გავიდა. გამომდინარე იქიდან, რომ ვიცოდი მათი გამოცდილებისა და განათლების შესახებ, ისინი ავტომატურად ჩემი თანაგუნდელები გახდნენ. რთული იყო გუნდის მესხეთე წევრის არჩევა. ჟიურიც და პროდიუსერიც მიჩვენდნენ, რომ ჯგუფში ერთი ბიჭი მაინც მყოლოდა. მართალია, ჩვენი ერთადერთი ბიჭი-ნიკა პროფესიით ჟურნალისტი არ არის, მაგრამ საკმაოდ სხარტი და ორიგინალური აზროვნება აქვს. რაც მთავარია, ყოველთვის კარგ განწყობაზეა და ჯგუფში მუდმივად ხალხისი შემოაქვს.“

- რატომ ჰქვია გუნდს „რეისი №2235“?

ელენე: „სახელი გვინდოდა, დაკავშირებული ყოფილიყო გადაცემის სახელთან. ბევრი ვიფიქრეთ, საბოლოოდ რეისი №2235-ზე შევჩერდით. ნომერი - 2235, იქნება ჩვენი პირადი ნომერი, ანუ ის ნომერი, რომელზეც მასურებელი sms-ებს გამოგვიგზავნის.“

- ამჟამად რა ეტაპზე?

ელენე: „ჯგუფების რიგობა უკვე გარკვეულია, ჩვენი ჯგუფი პირველია, ვინც გადაცემაზე მუშაობას იწყებს. ვეულის ძალიან გვიხარია, სიმბოლურია, პირველები პირველ არსზე ვიქნებით ჩვენ“.

ნინო: „პილოტის სეზონსაც სწორედ რეისი №2235 გახსნის. რეგისტრაციაც გავიარეთ. ჩვენს რეისზე ჩასხდომა უკვე დაიწყო.“

გამარჯვებულ გუნდს ჟიურის წევრები და sms გამოავლენს. თუ თქვენ მათი მგზავრი გახდებით, ღვედის შეკვრა საჭირო არ არის, თავისუფლად მოეწყვეთ, და რაც მთავარია, ეს ერთადერთი ფრენაა, სადაც მობილური ტელეფონების გამოყენებას მხოლოდ მიესალმებიან, მათი რეისია - ნომერი 2234.

უჩვეულო დაავადება

გაიცანით - შუშის ბავშვები

ლევან შორჭოლიანი

პირველი, რაც ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში თვალში მოგვხვდება, დაშავებულ პაციენტთა გრძელი რიგებია, რომლებიც ექიმის მოლოდინში საათებს ატარებენ, იმ იმედით, რომ მათი პრობლემა მცირე დროში მოგვარდება. თუმცა, აქვე დაინახავთ ბავშვებს, რომელთა პრობლემაც გაცილებით რთულია. ისინი „შუშის ბავშვები“ არიან.

არასრულყოფილი ოსტეოგენეზი გენეტიკური დაავადებაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ხშირი მოტეხილობა და ცისფერი თვალის სკლერა. დაავადება განკურნებადი, თუმცა 14-15 წლამდე გრძელდება და პატარებს სხვა ბავშვებზე მეტად ცხოვრების საშუალებას არ აძლევს. მარტივად მოძრაობაზე მაც კი შეიძლება მძიმე მოტეხილობა გამოიწვიოს, ამიტომ ასეთ პატარებს „შუშის ბავშვებს“ უწოდებენ.

4 წლის თათაც „შუშის ბავშვია“. მშობლებმა დაავადების სიმპტომები მაშინ შენიშნეს, როცა თათამ პირველი ნაბიჯები გადადგა და შედეგად მენჯის 4 მოტეხილობა მიიღო. თათა ღამე სახვევებით საწოლზეა მიმაგრებული, რომელიც მას მოძრაობის საშუალებას არ აძლევს და მოტეხილობისგან იცავს. მკურნალობისათვის სახსრები ოჯახს არ გააჩნია.

„ძალიან განვიცადე ეს ამბავი, ვერც გავიგე, ბავშვს რა სჭირდა, ბოლოს მე და ჩემმა მეუღლემ თბილისში ჩამოვიყვანეთ, სადაც ექიმმა არასრულყოფილი ოსტეოგენეზის დიაგნოზი დაუწვა და მოძრაობა სასტიკად აუკრძალა, ძალიან გვიჭირს ექიმის მითითებების შესრულება, ჩვენ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ვიმყოფებით და თათა ექიმთანაც ვერ მიგვყავს“, - ამბობს თათას დედა, ნანა და შვილს სპეციალური მილით წყალს ასმევს.

თბილისის ტრავმატოლოგიური კლინიკა ერთადერთია საქართვე-

ლოში, სადაც არასრულყოფილ ოსტეოგენეზს მკურნალობენ. ამჟამად აქ 32 „შუშის ბავშვი“ ირიცხება. მედიცინის დოქტორი თამარ ჭილაძე პირველია, ვინც საქართველოში არასრულყოფილი ოსტეოგენეზის მკურნალობის ევროპული მეთოდი დანერგა. აღნიშნული მეთოდი გულისხმობს ავადმყოფისათვის სპეციალური პრეპარატის გადასხმას. იგი შვეიცარიაში მზადდება და მისი გადასხმა თვეში ერთხელაა შესაძლებელი, მაგრამ მკურნალობის პროცესი შეიძლება, რამდენიმე წელი გაგრძელდეს.

„იყო უმძიმესი შემთხვევა, 10 წლის ბავშვი 9 კილოს იწონდა და ყოველ დაცემინებაზე 3-4 მოტეხილობას იღებდა. ჯამში მას 100-მდე მოტეხილობა ჰქონდა გადატანილი. კურსის გავლის შემდეგ მისი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა და ახლა იგი სკოლაშიც დადის“, - ამბობს თამარ ჭილაძე.

მისი თქმით, მთავარი პრობლემა მშობლების ნაკლებად ინფორმირებულობაა. მათ ბავშვები კლი-

ნიკაში ისეთ დროს მოჰყავთ, როცა მკურნალობა დაგვიანებულია. ხარჯი ერთ ავადმყოფზე წელიწადში 1333 ლარს შეადგენს. ამ თანხას მთლიანად სახელმწიფო ფარავს, თუმცა რეგიონში მყოფი ხელმოკლე პაციენტები კლინიკაში ჩამოსვლასაც ვერ ახერხებენ.

სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს, თუმცა, არაოფიციალური ინფორმაციით, დღეს „შუშის ბავშვთა“ რიცხვი საქართველოში 400-ს აჭარბებს. მედიკოსების თქმით, ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, ეს ციფრი საგანგაშოა.

30 წლის ნათია ყოფილი „შუშის ბავშვია“. დღეს მას ქმარი და 3 წლის გოგონა ჰყავს. ცხოვრების მძიმე წლებს ემოციის გარეშე ახლაც ვერ იხსენებს: „წარმოიდგინე, როცა 12 წლის გოგონას დამოუკიდებლად წყლის დაღვევის გეშინია, ხელი რომ არ მოგტყდეს. ის, რაც მე გამოვიყარე, ნამდვილი კომპარი იყო. ორსულობა ნერვიულობის გამო გამომირთულდა, მთელი 7 თვე შინის



ქვემ გაავატარე, ვდარდობდი, ბავშვი ავადმყოფი არ დაბადებულიყო, თუმცა ღვთის ნებით გადავარჩით და ელენე სრულიად ჯანმრთელია“.

ანასტასია დგეგუაძე

ერთი შეხედვით ტრადიციული ნახატებია. თუ მიუხაზვლოდებით, აღმოჩენთ, რომ ნამუშევრებში ფუნჯსა და ნახატზე უფრო მნიშვნელოვანი ბუმბულია. ბუმბული, რომლის ბუნებრივი ფერიც არც ერთ საღებავზე ნაკლები არ არის. მასალის ფერების ჰარმონიული შერწყმა ბადებს განცდას, რომ ფოტოებს უყურებთ. ამ დროს ეს ნახატებია. ნამუშევრების ავტორი კი ელენე - ლია ბარნაბიშვილია.

ყველაფერი იმ დღეს დაიწყო, როცა ქალბატონი ლიას ვაჟმა გარეული იხვი მოინადირა. ფრინველის ბუმბულმა იმდენად მიიზიდა მხატვარი, რომ მისი გადაგდება ვერ შეძლო. პირველი ნახატი 1992 წლის შობის ღამეს შექმნა. მას შემდეგ კიდევ 200-მდე ნამუშევარი დაუგროვდა.

ბუმბულით ნახატის შექმნა ადვილი რომ არ არის, ეს ერთი შეხედვითაც ჩანს. კითხვაზე, თუ რამდენი ბუმბულია გამოყენებული თითოეულ ნახატში, მხატვრის პასუხი - „დაითვლება?!“ ქალბატონი ლია იმასაც ამბობს, რომ ეს



ყველაფერი „თავისით იხატება“. ამ სილამაზის ავტორი საოცრად კეთილი და სათნოა. სადაც წავიკითხე: „სიყვარული მარადი-

ული სასწაულია; როდესაც რაიმეს აღამიანის სითბო მოაკლდება, საგანი მაშინვე კვდება“. ეს სიტყვები არავფერს ისე არ შეეფერება,



როგორ ლია ბარნაბიშვილის ხელოვნებას, რადგან მისი თითოეული ნახატი ცოცხალია. მათში იმხელა სითბო და სიყვარული ღვეს,

რომ მათი შეხედვა გაუხეშებულ სულს გვინაზებს, სიცოცხლის ხალისს გვიბრუნებს და საოცარ ხელოვნებას გვაზიარებს.

ანა ვაჭაძე



„ჩემთვის ოჯახი არის ნავსაყუდელი, ჩემი ენერჯის წყარო. ღვთისმსახურება არის ემოციების გაცემა, ოჯახი კი - ამ ემოციების მიღების ადგილი“, - ამბობს რუსუდანი.

როცა დიაკვნები ტაძრის ზარებს 12-ჯერ ჩამოკრავენ და ამბინიდან მგალობელთა გუნდი ღვთის საიდუმლოს ადავლენს, თბილისის ბაპტისტურ ეკლესიაში საკვირაო წირვა იწყება.

ტაძრის იატაკი ყვავილებითა და გვიმრებითაა მოფენილი, ორდანზე საგალობლებს უკრავენ, მრევლი კი ლოცვანს კითხულობს.

ეპისკოპოსი ქალბატონი

შუა წირვისას ხუცეებს ხის დიდი ჯვარი შემოაქვთ. პროცესიას ეპისკოპოსი მოუძღვის, რომელსაც მრევლი ხელზე კოცნით ეგებება. ეპისკოპოსის ხელთ ხის კვერთხი უპყრია, მის თეთრ ანაფორაზე წითელი ჯვარია ამოქარგული, გრძელი, შავი თმა თეთრი ლენტით აქვს შეკრული, ტურზე კი ღია ვარდისფერი საცხი უსვია. თბილისის ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის წინამძღვარი 34 წლის რუსუდანი გოცირიძეა.

რუსუდანი პირველი ქართველი ქალია, რომელიც ეპისკოპოსად აკურთხეს. ამ დღეს ემოციების გარეშე ვერც ახლა იხსენებს: „საოცარი განცდა დამეუფლა, როცა მთავარეპისკოპოსმა ხელში კვერთხი გადმომცა, ვიგრძენი, როგორ გადმოდიოდა უფლის მადლი ჩემში“.

რუსუდანი ევანგელურ ბაპტისტური ეკლესიის თეოლოგიური კოლეჯი დაამთავრა, ხელმძღვანელობდა საეკლესიო კონსტიტუციაზე მომუშავე ჯგუფს, მაგრამ ბავშვობაში ეპისკოპოსობაზე არასდროს უოცნებებია. მას უნდოდა, მხატვარი ან რეჟისორი გამოსულიყო. ორივე პროფესიაზე უარის თქმა მოუხდა იმ მოტივით,

რომ ეს პროფესიები ქალისთვის შესაფერისი არ იყო. ამის გათვალისწინებით, მისივე შეფასებით, უწყინარი საქმე, ინგლისური ენის სპეციალისტობა აირჩია, თუმცა საბოლოოდ, როცა ბაპტისტურ-ევანგელისტურ ეკლესიაში რეფორმები დაიწყო და სასულიერო სემინარიის კარი ქალებსთვისაც გაიღო, ერთ-ერთ პირველ ნაკადში ისიც ჩაირიცხა. 2008 წლის სულთმოფენობას კი იგი ხელდასმულ იქნა ეპისკოპოსად.

„სიმართლე რომ ვთქვა, არც კი მასხოვს ჩემი თავი უდმერთოდ. არ არსებობს ჩემს ცხოვრებაში ისეთი მომენტი, როცა ღმერთი ვიპოვე, უფალი გავიცანი. წლებს ვითვლიდი, როდის გავხდებოდი იმ ასაკისა, როცა ნათლობის უფლებას მომცემდნენ“, - იხსენებს ეპისკოპოსი.

რუსუდანს ნაზი ნაკვებები და სევდიანი მზერა აქვს, ლოცვის დროს ყოველთვის თავდახრილი დგას და ხელები გულთან აქვს მიტანილი, ასე ღმერთს უფრო მძაფრად შეიგრძნობს.

ღღის პირველ საათზე წირვა მთავრდება, რუსუდანი ანაფორას იხდის, მსუბუქ მაკიაჟს იკეთებს, მთხოვნელებს სწრაფი ნაბიჯით უცლება და ტაძარს ტოვებს. კვირის ბოლოში მეუღლესთან და 2 შვილთან ერთად ტრადიციულად „მაკლონალდს“ სტუმრობს. ოჯახის ყველა წევრი, ბავშვების გამოკლებით, მისი მრევლია.

„ეპისკოპოსის ანაფორა არანაირად არ მზღლავს, მტკიცა, მიხარია, განვიციდი, ვცხოვრობ, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, ჩვეულებრივი ქალი“, - ამბობს რუსუდანი. „არის საკითხები, რომელზეც ქალები მამაკაც მოძღვართან ვერ საუბრობენ, ჩემთან კი ეს უხერხულობის მომენტი არ აქვთ“.

საქართველოში პირველი ბაპტისტური თემი XIX საუკუნის 60-იან წლებში დაფუძნდა. თავდაპირველად ის რუსეთიდან გადმოსახლებული „მალაკნების“ ბაზაზე შეიქმნა, მოგვიანებით კი ბაპტისტთა ქართული, ოსური, სომხური თემებიც ჩამოყალიბდა. საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტურ ეკლესიას 35-იან მეთაური მთავარეპისკოპოსის სახით, ეკლესიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას უწყვეტ პრეზიდენტი, რომელიც პარალელურად ეკლესიის სინოდის თავმჯდომარეცაა. მას ირჩევენ საეკლესიო კრება, რომელშიც მონაწილეობენ როგორც სასულიერო, ისე საერო პირები ყველა ადგილობრივი ეკლესიიდან.

ბაპტისტები აღიარებენ საყოველთაო მღვდლობის პრინციპს, მართლმადიდებლობისაგან განსხვავებით, მათი რწმენით, ყველა



ადამიანი მღვდელია, და არა აქვს მნიშვნელობა, ის ქალია თუ კაცი. ისინი მიიჩნევენ, რომ ყველა ქრისტიანულ ეკლესიაში არის საღვთო მადლი და გადარჩენის შესაძლებლობა. ამისათვის საკმარისია ადამიანის სურვილი, იყოს ქრისტიანი.

ბაპტისტები უარყოფენ საეკლესიო საიდუმლოებებს. ისინი ადამიანს ნათლავენ მხოლოდ ზრდასრულ ასაკში, საკუთარი სურვილით. ასევე მათთვის დამახასიათებელია ადგილობრივი ეკლესიის დამოუკიდებლობა, არ არსებობს გამორჩეული ცენტრი, ე.წ. ბაპტისტური ვატიკანი. ყველა ეკლესიას თავისი წეს-ჩვეულებები აქვს, სადაც ერთ ეკლესიაში ქალს ეპისკოპოსობა შეუძლია, შესაძლებელია, მეორეში მისი უფლებები მკვეთრად იყოს შეზღუდული.

ანაფორის გარეშე რუსუდანი გოცირიძე არის ერთი ჩვეულებრივი ქალი, ორი შვილის დედა და მეუღლე, იმ განსხვავებით, რომ მისთვის კვირაც სამუშაო დღეა. „მე ვერ წარმომიდგენია ჩემი ცხოვრება ჩემი ოჯახის გარეშე, ჩემთვის ოჯახი არის ნავსაყუდელი, ჩემი ენერჯის წყარო. ღვთისმსახურება არის ემოციების გაცემა, ოჯახი კი - ამ ემოციების მიღების ადგილი“, - აცხადებს იგი.


„ოჯახის წევრებისგან არანაირი წინააღმდეგობა არ შემხვედრია, თუმცა უცხო ადამიანებისგან ხშირად ვგრძნობთ გაკვირვებულ და დამცინავ მზერას, როცა ანაფორიან ქალს მხედავენ. ერთხელ ვიღაც მოხუცმა ისიც კი მითხრა, ქართვე-

ლებს არცხვენო. თავიდან ეს ძალიან მთრგუნავდა, ახლა შევეჩვიე, ვიცი, რომ ღმერთი ყველას შეუძნობს“, - აღნიშნავს რუსუდანი.

რუსუდანი გოცირიძე მიიჩნევს, რომ საქართველოში რელიგიური უმცირესობებისადმი დამოკიდებულების მხრივ ფრიად საგალობლო სიტუაციაა, სასკლმწიფოს მიერ მათი უფლებების დაცვაზე საუბრისაგან კი თავს იკავებს, ისევე, როგორც ცალკეული მოქალაქეების მიერ აგრესიის გამოვლენის ფაქტებზე საუბრისაგან, რადგან მიიჩნევს, რომ სანამ პოზიტივზე არ აწეწობა მრავალფეროვნების ისტორიები, მანამდე ვერ აშენდება ნორმალური საზოგადოება.

რუსუდანს მოსწონს საქმე, რომელსაც აკეთებს, და უყვარს თავისი ეკლესია, ყველაზე მეტად კი - მისი თავისუფალი სულისკვეთება. „ჩემთვის ძვირფასია თავისუფლება, რომელიც არ სცნობს დენომინაციურ, დემოგრაფიულ და კიდევ სხვა მრავალ ბარიერს, რომელსაც ჩვენ, ეკლესიები, ყველაზე უწონავს მრავალფეროვნების სხვადასხვა ფორმები“, - აცხადებს იგი. მიუხედავად უამრავი მორალური და თუ მატერიული სირთულისა, რომლის გასურება არის ემოციების გაცემა, ოჯახი კი - ამ ემოციების მიღების ადგილი“, - აცხადებს იგი.

ხვალ ისევ დარეკავენ დიაკვნები ტაძრის ზარებს, ისევე იგალობებს გუნდი, რუსუდანიც კვლავ თავდახრილი იდგება წირვის დროს და ღმერთსაც კვლავ მძაფრად შეიგრძნობს.



გვანცა პაპავაძე



„საბჭოთა ალბინისტი, ვისი ვინაობაც ჯერ-ჯერობით არ არის დადგენილი, დღეს, დაახლოებით 13 საათზე დაიღუპა, ჩივეტას მასივზე ასვლის დროს“ - ასე იუწყებოდა იტალიური გაზეთი „უნიტა“ ქართველი გმირის მიხეილ სერგიანის დაღუპვას. ლეგენდარული „კლდის ვეფხვი“ - ასე იცნობდნენ მას მსოფლიოში, როგორც უმამაცეს მთასვლელს, რომელიც „ქარზე მსუბუქია და საჩვენებელი თითი ეკიდება უფსკრულის თავს“.

ალბინისტი

კლდის ვეფხვი - მიხეილ სერგიანი

„მე თქვენ მიყვარდით, ადამიანებო!“

ჩარჩა. 14 წლის მიშა ბანგურიანზე სახალხო ასვლის მზადებაში დიდ მონაწილეობას იღებდა, მთელ დღეებს ტურბაზაში ატარებდა, მაგრამ ასაკის გამო მის წყევანაზე თვითონ მამამ, ბესარიონ სერგიანმა თქვა უარი. სწორედ ამის გამო მიხეილი მონაწილეებს 3 დღე მარტოდმარტო, ალჭურვილობის გარეშე ჩუმად მიჰყვებოდა და მე-4 დღეს, როცა სადამო ჟამს ალბინისტები კოცონის ირგვლივ შეკრებილები „ლილეს“ მღეროდნენ, სწორედ მამის მზის სადიდებლის სიმღერის ფონზე გამოჩნდა. მისმა ამ საქცი-ელმა სასტიკად ალაშფოთა მამამისი, ბესარიონმა მოითხოვა, ბავშვი უკან დაებრუნებინათ. მიხეილის შემსაძლებლობებში დარწმუნებული სვანები, ბესარიონს არ დაემორჩილნენ და მიშა ბანგურიანის დასაპყრობად წაიყვანეს.



სწორედ მწვერვალ ბანგურიანზე, „ლილეს“ სიმღერის ფონზე მან ალბინისტიური ნათლობა მიიღო. „ფანტასტიკურია! მისი ცოცხის ტექნიკა უზადაა, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მისი ხელებისა და ფეხების ქვეშ კლდეები ცოცხლდებოდა და სირთულეები აღარ არის“ ასე ახასიათებდნენ მას ევროპელი უელსში, ურთულესი მარშრუტის გაველის შემდეგ. მიხეილი გამორჩეული იყო ცოცხის უზადო ტექნიკით. ის რეკორდულ დროში ფარავდა მერ კატეგორიის სირთულის მწვერვალს. მასზე ამბობდნენ „კლდეზე კი არ დადის, ცეკვავსო“.

დაბლა ჩამოიყვანა. იქ მას დახვდა ამბავი, რომ მწვერვალზე დარჩენილები დახმარებას ითხოვდნენ. მიშა დაუფიქრებლად უკანვე გაბრუნდა, ხელახლა დაიპყრო მწვერვალი და განსაცდელში ჩავერდნილები უკან მშვიდობით დააბრუნა. 1964 წელს, როცა მიშამ გადაწყვიტა ჩრდილოეთ უშბის აღმოსავლეთი „სარკედ“ წოდებული კედლის დაპყრობა, რომელიც მანამდე ვერავის გაებედა, მე-6 დღეს ამინდი შეიცვალა და სველი თოვლი წამოვიდა. ექსპედიციის წევრები თოვზე დაკიდებულნი დარჩნენ. მიშა მთელი ღამის განმავლობაში „ლილეს“, მზის საგალობელს მღეროდა და მათ ამხნევებდა. ეს იყო სენსაცია, მხოლოდ მას შეეძლო 45 ადამიანის წაყვანა უშბაზე. უყვარდა მზე, სიცოცხლე, ნათესავები. უყვარდა ედელვაისი „მი-უდგომელ სიმაღლეთა კეკლუცი მზეთუნახავი“.



საკენ დაეშვა. სუფთა ვარდნით 100 მეტრზე მეტი ფერინა და კლდის შევრილს მიხეთქა. მან უცხო მიწაზე დალია სული. ეს ყველაზე მძიმე იყო ქართველებისთვის. ბესარიონმა, მიშას მამამ, უარი განაცხადა მის დიდუბის პანთონში დაკრძალვაზე, რადგან იცოდა, რომ მიშას სვანეთში სურდა დაკრძალულიყო. თვითმფრინავმა სერგიანის ცხედრით კავკასიონს გადაუფრინა. გეზი ბანგურიანისაკენ აიღო, მიხეილის ნათლობის მწვერვალისაკენ. მათ ბაშის უღელტეხილს, დალა-ყორისას, ჩათინის თხემებს შემოუფრინეს და გეზი უშბისაკენ აიღეს. პილოტებმა იცოდნენ, რომ სერგიანი მწვერვალის გამოუმშვიდობებლად, მიწაში ვერ ჩაწვებოდა. „ვეფხვის თათებით შემოსილ სარცელზე იწვა კლდის ვეფხვი“. დიდებულად დასვენდნენადა მრავალბმიანი სამგლოვიარო გოდება „ზარი“, რომელიც საუკუნეებია, დაკრძალვისთან ახლავს სვანეთში. 1 წელი სოფელში არავის უმღერია, მხოლოდ ბესარიონმა, მიხეილის მამამ გაებედა ერთი წლის თავზე ამის გაკეთება. იმ-ღერა, ტყეში შევარდა და ატირდა. ამქვეყნად მისი მხოლოდ 2 ოცნება დარჩა განუზოროცილებელი: ილიკო გაბლიანის ცხედრის ჩამოსვენება ტიანანშიდან და მესტიაში „მთამსვლელთა სკოლის“ გახსნა. მიხეილ სერგიანის სახელს უკვდავსყოფდა, შექმნილია მედალი, რომლის ერთ მხარეს მიშას სახეა გამოსახული, ხოლო მეორე მხარეს მისი სიტყვებია ამოტყვიფრული: „მე თქვენ მიყვარდით, ადამიანებო!“

სალომე გოგინაშვილი

„2 შვილი გვეოლება, კარგი ქმარი და 72 წლამდე იცოცხლებ“, - რუსულ-ქართულად ჩაილაპარაკა 79 წლის ზინა აღსენტემ. მუსკლებზე უკვე გაცნობილი კარგი გაშალა და მკითხაობა გააგრძელა. შემდეგ ჩემი ხელისგულზე სიცოცხლის სახს თავისი გრძელი და მომჭკნარი თითი გააყოლა და უფრო დაწერილებით მომითხრო ჩემი საგარაუდო მომავალი.

უმცირესობები

გზა საზღვრების გარეშე

ანუ გოგათა ცხოვრება საქართველოში



ნანუკა ქაჯაიას ფოტო

და ყველაზე მკაცრად იცავს ბოშათა ტრადიციებს. ყველაზე კარგად ბოშების ტრადიციები ქორწილში ჩანს. ამ დღეს ისინი ალუბლის ხეს ჭრიან, როგორც ნაყოფიერების სიმბოლოს და შემდეგ ტოტემს ტკბილეულითა და წითელი ლენტეხით რთავენ. მათ მარილმორყილ პურში არჭობენ და საქორწილო სუფრაზე დგამენ. ნეფე-პატარძალი და დაუოჯახებელი ახალგაზრდები ერთ ოთახში, ერთ სუფ-

რასთან სდებიან, უფროსები - მეორეში. პატარძლის ოჯახს ორი მამაკაცი დარაჯობს, რომ იქ დაოჯახებულები არ შევიდნენ. კიდევ ერთი წესი, რასაც ბოშები მკაცრად იცავენ, ის არის, რომ პატარძალი აუცილებლად ქალწული უნდა იყოს. გათხოვების შემდეგ ქალმა თავშალი და გრძელი კაბა უნდა ატაროს და ქმარსაც უსიტყვოდ დაემორჩილოს.

თუმცა ჩნდება კითხვები: რამდენად ერგება ეს ტრადიციები დღევანდელ რეალობას და საკანონმდებლო სივრცეს, რამდენად არის დატული ქალის უფლებები ბოშათა თემში. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, 16 წლამდე ასაკის მოქალაქეებს ქორწინების უფლება არა აქვს, 16-დან 18 წლამდე მშობლის ან მეურვის თანხმობაა საჭირო და მხოლოდ 18 წლის შემდეგ აქვს ადამიანს

თავისუფალი ნება, დაქორწინდეს. ბოშები ამ წესებს ნაკლებად მისდევენ. სისხლიანი ზეწრის გამოფენითა და იძულებით გათხოვებით კი ადამიანის უფლებები, ევროპული გაგებით, ირღვევა, მაგრამ ბოშებს ესეც ნაკლებად ადარდებთ. საქართველოს მოქალაქეებს ბოშების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ. ზოგი მათი ცხოვრების წესში რომანტიკას ხედავს, ზოგს არ მოსწონს მოხეტიალე ცხოვრების წესი, მიანჩითა, რომ მათსოფრობითა და ქურდ-ბაცაცობით არიან დაკავებული. „ყველა ერთად უნდა მოხვედროს პატრულმა და გაყაროს აქედან...“, „უფე, ეგენი გამრავლების მეტს არაფერს აკეთებენ“, - ხშირად გაიგონებთ ასეთ ფრაზებს. რამდენი ბოშა ცხოვრობს საქართველოში და აქვთ თუ არა მათ ბინადრობის უფლება, მოქალაქეობა ანდა ვიზა, ეს მართლაც სამართალდამცავების გასარკვევია, მაგრამ თითოეული ადამიანის უკან მანც მისი ისტორია დგას. სინამდვილეში არავინ იცის, რა იმალება ამ ლამაზი ჭრელი კაბების, ფერადი თვლების მიღმა, თუმცა, ალბათ, ყველას ასოფს რომას დარიგება ფილიმიდან: „ბოშათა ბანაკი ცას მიემართება“. „არ შეიყვარო ფული, მოგატყუებენ, არ შეიყვარო ქალი, მოგატყუებენ, ყველა ღვინოზე დამათრობელი საკუთარი ნება და მოვალეობაა“.